



(დასასრული)

რო ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებს და შესაბამის ოლქში ამ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) მიერ წარმოდგენილ დეპუტატობის კანდიდატებს. აღნიშნული პირებმა საოლქო საარჩევნო კომისიებს უნდა წარმოუდგინონ პარტიის საარჩევნო ბლოკის ნდობით აღჭურვილი პირთა სია, მაგრამ ისე, რომ ერთ საარჩევნო ოლქში პარტიის (საარჩევნო ბლოკის) პყავდეს სულ ზევური ათი ნდობით აღჭურვილი პირი.

დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატები კი განცხადებით მიმართავენ საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელშიც მოცემულია ნდობით აღჭურვილი პირთა სია.

დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატის, პარტიის ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელ პირთა) თხოვნით, ნდობით აღჭურვილი პირები განთავისუფლებიან წინასაარჩევნო კამპანიის ვადით საწარმოო და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. ამასთან ყოველ საარჩევნო ოლქში პარტიისა და საარჩევნო ბლოკის თითო ნდობით აღჭურვილ პირს, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატებისას კი ერთ ნდობით აღჭურვილ პირს (მოცემულ საარჩევნო ოლქში) შეუარჩუნდება საშუალო ხელფასი არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე. ხელფასი მას მიეცემა საშუალო ადგილზე საწარმოს, დაწყებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის სათანადო ბრძანებით. საარჩევნო კამპანიის დამთავრების შემდეგ სათანადო ანგარიში გასანადგურებლად წარედგინება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო კამპანიის ნორმალურად წარმართვისათვის დღეიდან მინიშნულდება აქვე ამომრჩეველთა ხიების წესი და შედგენას. კანონის 33-ე მუხლის თანახმად ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველო ყველა მოქალაქე, რომლებსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეესაუღდათ 18 წელი, ხის შედგენის ომენტისათვის ცხოვრობენ მოცემულ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვთ ხმის მიცემის უფლება. აქვე უნდა დავაუსტოთ, თუ ვის არა აქვს ხმის მიცემის უფლება.

საარჩევნო უფლება მოიცავს ორ პომენტს: აქტიურ საარჩევნო უფლებას და პასიურ საარჩევნო უფლებას. აქტიური საარჩევნო უფლება ნიშნავს ხმის მიცემის უფლებას, პასიური კი უფლებას, რომ არჩეული იქნეს დეპუტატად. კანონის მე-2 მუხლის თანახმად საერთოდ საარჩევნო უფლებით და თავისთავად არც ხმის მიცემის უფლებით არ სარგებლობენ შემდეგი კატეგორიის მოქალაქეები:

- 1. პირნი, რომლებიც მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას (ტექსტი შემდგომ — „სამხედროები“);
- 2. ფსიქიურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუწაროდ ცნო;
- 3. პირნი, რომლებიც სასამართლის განჩინებით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან (აქ არ შედიან საჯამოძიებო იზოლატორში მყოფენი).

ძალიან ბევრი სვამს კითხვას, აქვთ თუ არა სამხედრო პირების ოჯახის წევრებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება და შევიყვანოთ თუ არა ამომრჩეველთა სიებში. თუ ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები (არაინ ჩაწერილები საქართველოში) და მუდმივად მცხოვრები საქართველოში, არ მსახურობენ ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, — ჩვეულებრივად შეიყვანებიან ამომრჩეველთა სიებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ისეთ სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, რომლებიც არ ექვემდებარებიან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების იურისდიქციას, — შეიძლება შევაზღუნდეთ დაქირავებულად, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მყოფი პირნი

ნი (მაგ. ელექტრომექანიკოსი, მბეჭდავი, მეფხოვე და ა. შ.), მაგრამ ისინი ჩვეულებრივად იღებენ არჩევნებში მონაწილეობას.

გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა მოქალაქე ჩაწერილია, მაგალითად, ახმეტის რაიონში, ხოლო ფაქტობრივად წლები განმავლობაში ცხოვრობს ქ. თბილისში ან სხვაგან. ანალოგიურ შემთხვევაში მოქალაქე ამომრჩეველთა სიაში შეტანილი იქნება ჩაწერის ადგილის მიხედვით და ხმაც იქ უნდა მისცეს, მაგრამ თუ სურს ხმა მისცეს თავისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით, მაშინ კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე, უნდა აიღოს ხმის მიცემის უფლების მოწმობა და მის საფუძველზე შეეძლება ხმა მისცეს ნებისმიერი ადგილის რესპუბლიკის ფარგლებში ხმის მიცემის დღე, მასა და გაცვლისამყოფელის მიხედვით.

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე 15 დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებში, — არჩე-

ვებამდე ორი დღით ადრე. ადგენად მოქალაქეებს უკვე შეუძლიათ მიმრჩანდნენ საარჩევნო უბნებში თავიანთი ჩაწერის ადგილის მიხედვით და შეამოწმონ მისი შედგენის სისწორე, ან არიან თუ არა სიაში.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეტანლობა, არასწორად შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სხვა უზუსტობანი, რის გამოც შეუძლია მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას განცხადებით. საუბნო საარჩევნო კომისია კი ვალდებულია აღნიშნული განცხადება განიხილოს არა უგვიანეს 2 დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინაღობა — დაუყოვნებლივ. მისი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს არჩევნებამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა სახალხო სასამართლოში, რომელმაც საჩივარი უნდა განიხილოს სამი დღის ვადაში.

წინ გვთვლიდა კიდევ რთული და გადაწყვეტი ეტაპი — ხმის მიცემის მოწყობა და ჩატარება. რამდენადაც პირველად ვატარებთ მრავალპარტიულ და დემოკრატიულ არჩევნებს, ხმის მიცემის პროცედურაც ბევრ სახალხო პერიოდს. ხმის მიცემა იწყება 28 ოქტომბერს 7 საათზე და მთავრდება 20 საათზე, ხოლო არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროს და ადგილას ამომრჩევლებს აცნობებს არჩევნებამდე არაუგვიანეს 5 დღისა.

ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ ისეთ შენობებში, რომლებიც არ არის მხლოდ ერთი პარტიის სარგებლობაში, ამ შენობებში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი სპეციალური რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგოს საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებში ან ოთახებში. ხმის მისაცემ შენობაში გამოკრული უნდა იყოს პარტიებისა და საარჩევნო ბლოკე-

ბის პარტიული სიები და ასევე შესაბამის ოლქში დასახლებულ პერსონალურ და დამოუკიდებელ დეპუტატობის კანდიდატთა სია.

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას. ხმის მისაცემ შენობაში დაუშვებელია შეიარაღებულ პირთა შესვლა. მილიციის თანაშრომელიც კი, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს, ხმის მისაცემ შენობაში შეიძლება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყებამდე საარჩევნო ყუთებს ამოწმებს და პლემბებს ალუქებს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით, რის შემდეგაც ყუთებში უშვებენ საკონტროლო ფურცელს, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და ხმის მისაცემად მისული პირებმა ამომრჩეველი, მასზე უნდა აღინიშნოს ყუთში ფურცლის ჩაშვების დრო.

საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებს ვასცემს ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძვე-

ლზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთისა და ამომრჩევლის ბარათის წარდგენას. სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში პირადი ხელმოწერით, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამომრჩეველი იღებს არა ერთ ბიულეტენს, არამედ ორ ბიულეტენს — ერთს თვითი ფერის და მეორეს ფერად ბიულეტენს.

თვითი ფერის ბიულეტენებს ბეჭდავენ საოლქო საარჩევნო კომისიებში და მასში შეაქვთ დეპუტატობის პერსონალური და დამოუკიდებელი კანდიდატები მათი წარდგენის რიგითობის მიხედვით. ვიცი, რომ პერსონალური კანდიდატია პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ ერთმანდატთან ოლქში წარდგენილი კანდიდატი, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატი კი — ამომრჩეველთა კავშირის მიერ ხელმოწერების შეგროვების გზით დასახლებული კანდიდატი. დამოუკიდებელი კანდიდატის დასახლებულად მხარდაჭერათა სიების ჩაბარების ვადა იყო 25 სექტემბერი, ხოლო პერსონალური კანდიდატების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენის ბოლო ვადა 30 სექტემბერი, ამდენად ბიულეტენში კარ შეაქვთ დამოუკიდებელი კანდიდატები, შემდეგ კი პერსონალური კანდიდატები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მათი წარდგენის რიგითობის მიხედვით.

მეორე ბიულეტენი ანუ ფერადი ბიულეტენი იბეჭდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ და მასში შეაქვთ საარჩევნო კამპანიის მონაწილე პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა დასახლებულ მათ მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიული სიების წარდგენის რიგითობის მიხედვით.

ამომრჩეველი ერთ ბიულეტენში შემოხაზავს იმ კანდიდატის რიგით ნომერს, ხოლო მეორე ბიულეტენში კი იმ პარტიის, საარჩევნო ბლოკის ნომერს, რომელსაც ხმას აძლევს. (გთხოვთ მაკვირეთ ყურადღება: წინა არჩევნების დროს უზღვიდით ყველა სხვა კანდიდატს, გარდა ჩვენთვის სასურველისა, ახლა კი შემოხაზავთ რიგით ნომერს).

პარტიის ან საარჩევნო ბლოკის ბიულეტენში, რომელშიც ერთზე მეტი იქნება შემოხაზული, ან არც ერთი არ იქნება შემოხაზული, ან

ყველა იქნება გადახაზული — ბათილად ჩაითვლება პარტიის (საარჩევნო ბლოკის) რიგითი ნომერი ფერად ბიულეტენში უცვლელი რჩება, თუ მისი პარტიული სია მოიხსნა არჩევნებამდე. მაგალითად, აგრარული კავშირის, რომელიც გამოვითიშა არჩევნებს, რიგითი ნომერი არის მე-4, რაც უცვლელი რჩება, ხოლო მის გასწვრივ უბრალოდ ხაზი და სცარიელებ იქნება. მაგრამ აგრარული კავშირის მიერ ოლქებში პერსონალური კანდიდატების დასახლება ბათილდება და თუ საოლქო საარჩევნო კომისიებს ბიულეტენები არა აქვთ დაბეჭდილი, ისინი ბიულეტენში არ შეაქვთ. მაგრამ თუ ბიულეტენები დაბეჭდილია, ასეთ შემთხვევაში პარესაში ქვეყნდება შესაბამისი განცხადება აღნიშნულის შესახებ. იგივე ხდება ნებისმიერი პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და მათი პერსონალური კანდიდატებისათვის, თუ მათი პარტიული სია მოიხსნა არჩევნებამდე.

საარჩევნო ბიულეტენებს ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს

პირადად, სხვა პირთა მავივრად ხმის მიცემა დაუშვებელია. ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში მიიწვიოს ნებისმიერი პირი თავისი შეხებულები სამებრ, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა. ნდობით აღჭურვილი პირისა და დეპუტატობის კანდიდატების პარტიის, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლისა.

შევსებულ ბიულეტენებს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში. ამომრჩეველი ხმის მისაცემ შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის აუცილებელი დროის განმავლობაში, ხმის მიცემის დროს დაუშვებელია ხმის მისაცემი შენობის ჩაქრება და ხმის მიცემის შეწყვეტა.

თუ ამომრჩეველს განმრთვობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, ამის შესახებ ისინი წინასწარ აცნობებენ თავიანთი ჩაწერის ადგილის მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიას და ეს უკანასკნელი მათი თხოვნით ავალდებს კომისიის წევრებს (არანაპირად ორისა) მოაწვიონ ხმის მიცემა ამომრჩეველთა ადგილსამყოფელის მიხედვით, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ხმის მიცემის ამგვარად ჩატარებისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ ამომრჩეველმა რესპუბლიკის, ოლქის ან ერთი და იმავე დასახლებული პუნქტის (მაგალითად, თბილისის ან საქართველოს რომელიმე რაიონის) ფარგლებში ადგილსამყოფელი შეიცვალა ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან (13 ოქტომბერიდან) ხმის მიცემის დაწყებამდე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარმოდგენილი პასპორტის ან მისი პირდგენის დამადასტურებელი სხვა საბუთის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. ამასთან, ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი აღნიშვნა. ხმის მიცემის უფლების მოწმობის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს თავისი ხელმოწერით.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველს ხმის მიცემის დღეს შეუძლია რესპუბლიკის ფარგლებში ნებისმიერი

ადგილის მისცეს ხმა არჩევნების დღეს თავისი ადგილსამყოფელის მიხედვით. აღნიშნული მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველს გვაზი შეაქვთ დამატებით სიაში, რომელსაც დაუროდვენ ხმის მიცემის უფლების მოწმობას.

ამგვარად, თუ, მაგალითად, ამომრჩეველი ჩაწერილია ახმეტაში, — მას შეუძლია აიღოს ხმის მიცემის უფლების მოწმობა და ხმა მისცეს თბილისში ან ნებისმიერ ადგილას არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. მაგრამ, მაგალითად, თბილისის სახუროთალოს რაიონის მცხოვრებმა არ შეიძლება ხმა მისცეს ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ქი გლდანის რაიონში. კანონში ცალსახად გვეწყობა, რომ ხმის მიცემის უფლების მოწმობას აძლევს, თუ მოქალაქემ ადგილსამყოფელი შეიცვალა რესპუბლიკის, მაგრამ არა ერთი და იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში.


(თუ ამომრჩეველი არჩევნების დღეს მოხვდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, — მისი ხმა იკარგება, რადგან კანონის თანახმად ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად და ხმის დატოვებელი დროებითი კონვერტი ან რაიმე სხვა ფორმით კანონი არ ითვალისწინებს).

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან საოლქო და საარჩევნო კომისიის წევრები, პარტიის (საარჩევნო ბლოკის), დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილი პირებსა და წარმომადგენლებს არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყებამდე დამთავრებამდე არ ექნებათ საშუალება მისცენ ხმა თვითნაირი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, — ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით აღნიშნულ პირებს ნება დაეკრთოთ ერთი და იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში ისარგებლონ, განმარტების სახით, ხმის მიცემის უფლების მოწმობით (მაგ. ქ. თბილისის სახურთალოს რაიონის მცხოვრებს, რომელიც შეყვანილია გლდანის რაიონის რომელიმე საუბნო საარჩევნო კომისიას წევრად, უფლება ეძლევა მიიღოს ხმის მიცემის უფლების მოწმობა და მისცეს ხმა ანა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არამედ არჩევნების დღეს თავისი ადგილსამყოფელის მიხედვით, ანუ იმ უბანში, რომლის კომისიის წევრიცაა).

მწვავედ იღვა იმ მოქალაქეთა სათიხე, რომლებიც არსად არ არიან ჩაწერილი, მაგრამ ფაქტიურად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნულ პირთა შესახებ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო სპეციალური განმარტება, რომლის თანახმად: მოქალაქეები, რომლებსაც ბოლო ჩაწერა ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ ისინი შედგენის მომენტისათვის არსად არ არიან ჩაწერილები, ამომრჩეველთა დამატებით სიაში შეყვანილი იქნებიან მათი სასწავლებლის ან საშუალო ადგილსამყოფელის მიხედვით, სამსახურიდან ან სასწავლებლიდან წარმოდგენილი ცნობისა და აუცილებლად პასპორტის საფუძველზე (მაგ. სტუდენტი, რომელიც სწავლობს ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და არსად არ არის ჩაწერილი შეყვანილი იქნება ამომრჩეველთა დამატებით სიაში იმ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს უნივერსიტეტი).

არჩევნების დღეს ყოველგვარი აგიტაცია, გარდა ხმის მისაცემი შენობის გარეთ ადრე გამოკრული საავტოციო მასალისა, აკრძალულია, ამას მოჰყვება მოქალაქეთა დაჯერებება ორმოცდაათი პერიოდში, თანამდებობის პირთა მის მანეთამდე.

ლია ცინდელიანი, საქართველოს კსრ უწყების ხაბტოს პრეზიდენტის ავრიდიული განყოფილების ხაარუტანტი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ავრიდიული ქაუფის ხელმძღვანელის მოადგილე.



რიგები თბილისსაც ვეღარ გააკვირვებ. რომ გაითხოვ — ყველაზე მეტი ხალხი სად იყრის-მეთქი თავს, ზოგი გულუბრყვილო მეტყვის, სიგარეტის რიგში, ზოგიც — შაქრის და კარაქის, სხვა კიდევ — ბენზინის. იმასაც შემახსენებს, ბენზინის რიგში მდგომნი, ზშირად დამოყვრებულან კიდევ (მე თვითონ მოწმე ვახსენებარ), ზოგს შვილს მოუხატავს, ზოგნი კიდევ მახსენებ გამხარან. ზოგი იმასაც მეტყვის, ბენზინიც შეუსხამთ ერთმანეთისთვის და ცეცხლის წაიღებაც დაუპირებიათ... მაგრამ, ეს ყველაფერი მოგონილია იმასთან შედარებით, რაც თავისუფლების მოედანზე მდებარე უცხოელთა რეგისტრაციისა და ვიზების განყოფილების, რუსულად ОВИР-ის წინ (რომელსაც ყველა ქართულადაც „ოვირს“ ეძახის) ხდება.



ტის პატრონის გადადილი სხეს და მასთან ერთდროულად მოლაპარაკე რამდენიმე მთხოვნელს რომ შევხვდეთ, მივხვდით რომ აღდენია უნდა გადაგვეტანა. მართლაც, შევთანხმდით მეთრე დილის 9 საათისთვის. ვიცოდი რა იქ შექმნილი მდგომარეობა, დილის 7

ლოდიც ვსხედვართ. ვიყვებთ ჯვარედინ „დაკითხვას“. ვრცელ ინტერესს ალბათ საქინფორმი შემოგთავაზებთ, მე კი მოკლედ გავაცნობთ ჩვენი საუბრის შინაარსს. 1985 წელს საქართველოდან ღრობებით თუ მულმივ საცხოვრებლად წავიდა 5000 კაცი, მარტო

ჯეტს. ხელმძღვანელობა გვიბრუნდა შტატსაც დაგიბატონებოდა ფართსაც, ვნახოთ... სწორი აზრია რაიონებში, ადგილებზე უნდა მოვემსახუროთ, ალბათ ასეც იქნება. ჯერჯერობით თბილისის რამდენიმე რაიონი მოემსახურება თავის ხალხს. სანამ თქვენი წერილი დაიბეჭდება, მანამ ჩვენ ამ საქმეს გადავწყვეტით. საუბრის ბოლოს მოხვდა, მკითხველებს აუწყებთ, რომ პასპორტების უქონლობის გამო, რომლითაც პერმი გვამარაგებს, საბუთების გაცემა დროებით შეწყდება. პასპორტის გაცემის ვადა ორი თვეა, მაგრამ ჯერ არ მინახავს იქამდე ვინმეს მოეთმინოს. უფრო ზშირად საბუთებს პატრონიც თან მოყვება, იწყება ნაცნობების თუ ნათესავების გამოძახება, რეკვა... კაბინეტიდან ძლივს გამოვალწვი, მე მგონი, ყველა 60 ათასი პასპორტის მომლოდინე იქ იყო მოსული. ჩხუბი, ყვირილი, „უტ-

ლისტების შესაძლებლობებზე“ იმ-აზე მეტი წარმოდგენა გქონიოთ, ვიდრე სინამდვილეშია. ქალები ისე გაურთინებ ჩემთან ანგარიშის სწორებით, რომ გვიან შენიშნეს 80 წელს მიღწეული, მკერდზე რამდენიმე ორდენების ზოლით დამშვენებული, მოფაფრებული მოხუცი როგორ აპირებდა „ურთოდ“ გაძრომას... და იქ ამბავი დატრიალდა... არ დაოჯრებებ მეგობრებო, მაგრამ ქართველმა ქალებმა ეს მოხუცი გალახეს. დიან, იატაკზე დაავდეს და... რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ის სიტყვები რაც მაშინ გითხარით, ქალბატონებო, უკან არ მიმაქვს... ქალბატონო ვენერა მი-ძვე, მართალი იყავით რომ მითხარით, სანამდე დავეშვით ქართველი ქალები, თურქეთში მივიღოვარ სავაჭროლო. რამდენიმე ქალბატონმა კვერი დაგიკრა და მათ შორის ჩემმა ნაცნობმა რუსულად კ-ძემ. ეს საუბარი მოხუცის გალახვამდე გვიწინა... საინტერესოა, რა უნდა ვიყი-ლოთ და რა უნდა გავყიდოთ იმისი ფასი, რაც ამ არცთუ ტკბილმოუბარი მოხუცის გალახვას გაამართლებს.

მართლაც... რას ვგვართ ხალხო, რას დაგვამსავსა მამამაღალმა აბელ სეთურმა და მოსასპობმა კაცოლი თაბაგარმა... არ ვფიქრობთ?! ვერ ვხედავთ ამას?!

**გადრი ვადამორია აპტორის ფოტოები**

P. S. შემდეგ რეპორტაჟს ბათუმში თურქეთის საკონსულოდან და სარფის საბაჟოდან მოგაწვდით, შემდეგ კი ვნახოთ... ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ შინაც გადავწყვიტეთ ამ ინციდენტის მომქმედი გმირების ფოტოები არ გამოგვექვეყნებინა.

- 1. მახლა დახაბეკდად შვად იყო, რომ კიდევ ერთხელ შევადწიე „ოვირში“. ცინცხალი ინფორმაცია, რომელიც თემოურაზ ხანაძემ და მისმა მოადგილემ მერაბ გურჯიძემ მოგვარა, ახეთია: თურქეთში მიმავალ ყველა თბილისელ მოქალაქეს თავისი რაიონი მოემსახურება. დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი კი პასპორტებს ქუთაისში მიიღებენ.
- 2. წარმოადგენთ თბილისის მიხამართებს რაიონების მიხედვით.
- 3. საბურთალო — ტურბაზა დილოში.
- 4. თბილისი — შ. ს. გ.
- 5. მთაწმინდა — მს-ე ხალხმშართველობა.
- 6. ვაკე — ქავკავაძის პრ. 87 (სტუდქალაქი).
- 7. კარსანისი — გორგახლის ქ. №25.
- 8. ისანი — შ. ს. გ.
- 9. სამგორი — შ. ს. გ.
- 10. ნაძვალდეგი — შ. ს. გ.
- 11. ვლადი — შ. ს. გ.
- 12. დიდუბე — ელიავას ქ. 84.

**რა უნდა ვიქილოთ იმის ფასი...**



საათზე, საკმაოდ სოლიდურ რიგში, პოზიცია დაეკავა. სასწრაფოდ შეიქმნა სამი თუ ოთხი „უტყუარი“ სია, რომლებიც, რა თქმა უნდა, სიის შემდგენლებით იწყებოდა. ისე, სხვათა შორის, რიგში მდგომების 90 პროცენტს ქალები შეადგენდნენ. ჩემს გვერდით სამამულო ომის ორდენისანი, ჩოხატაურელი ლეო პაიჭიძე აღმოჩნდა... ბიძა, ოთხი ვიყავი ფრონტზე, მარა ამფერი ვაპირებდა, რაც ამ რიგში ვნახე, არ მინახავს. ამ კოსტიუმს რომ უყურებ, ერთი კვირისაა, მარა იმდენჯერ შემომბრუნდნენ ტანზე, სამამულო ომის ორდენი გეგონება. ამ კაცი ხალხს თუ ჩვენთვის რაიმე სიკეთე უნდათ, ვინც ჩეიბარა ჩვენი საბუთები რაიონში, იმასვე გამოაგანოსო... არ ჩვენ მოვედებთ საქმეს და არც ამით წავართმევთ მათ წილ უნდად, ამ ერთი ციკქნა ოთახებში რომ ისუნთქავენო... თემოურაზ ხანაძის წინ მე და საქინფორმის კორესპონდენტი რიტა

წელს ჯერჯერობით 130 ათასი კაცია წასული. 55-60 ათასი საქმე (თითოეულში საშუალოდ ორი სამი მოწვევა დევს) მზადების პროცესშია, ე. ი. რუსუბლიკიდან დაახლოებით 250 ათასი კაცი ვაიმზავებდა საზღვარგარეთ. აქედან უმეტესი წილი თურქეთზე მოდის. როგორც ჩვენი წყაროებით ვიცით, 95 პროცენტი ან ყიდულობს მოწვევას, ან საჩუქრად მოაქვს. ზოგიერთი კი არსადაც არ აპირებს წასვლას, ურჩევნია ვალუტა შეინახოს, ვიდრე, არც მთლად საიმედო მანეთები... წელს 46 მილიონი დოლარია გატახნილი მარტო თურქეთში. ერთდროს „აპენდიციტად“ წოდებული ტრაპიზონის მხარე, დღეს აყვავებულია სწორედ აქედან გასული დოლარები წყალობით... 1985 წელს 14 თანამშრომელი გვეყავა შტატში და ახლაც აღდენი გვეყავს: ამ 14 კაცით 26 მილიონი ბრუგა მივეციტ სამშუბაროდ მარა რესპუბლიკის არამედ საკავშირო ბიუ-

უთარი“ სიების თავზე დახვევა... მშვენიერი ქალბატონების შემოილი სხელები და რა ვიცი... ყველაზე მეტი ხალხი მთაწმინდის რაიონის ინსპექტორ ოთარ ტყეშაძესთან იყო თავმოყრილი. ვიცოდი, ბოლო დღეები მას და მის თანამშემწყებს დღამდე უწყვედათ მუშაობა. წინა ორ დამეს მე თვითონ დავრწმუნდი. მინდოდა მისთვისაც ორიოდე შეკითხვა მიმეცა, მაგრამ ისრაელში მიმავალმა ქალბატონმა ჩემი პირადობის მოწმობა, რედაქციის მიმართავ კონაომ თავზე დამახია. ბოლოს წლებების ყველა ცოდვა მე მომაწერა, ალბათ ცოტა ვეხალგაზრდავე, თორემ „ავგორას“ ზარბაზნის გასროლასაც მე დამამარაგებდა. ის კი დამავალა, ახლაც წადი და საწყობებში რომ სავსეა იმპორტული საქონლით ამ წუთში გამოიტახნო. ბენზინი და სიგარეტი რომ არ იციან სად წაიღონ, ისიც ახლაც გამოაკვრებოდნენ. აგაშენათ ქალბატონო ღმერთმა, თქვენ ყურნა-

**რუსეთი — საქართველო, რუსეთი — ლიტვა**

**ორი ხელშეკრულება — ორი პოზიცია**

„დაე, ნურავის შეშურდება ჩვენი, იმით რომ სწორედ ჩვენმა რესპუბლიკებმა, როგორც სუვერენულმა სახელმწიფოებმა, პირველებმა მოაწერეს ხელი ახელშეკრულებას, ისტორიის კანონიზაციის განმარტება“.

გაზეთი „კომუნისტი“ 2.08.1990 „ქორწილი მოჩრა, ახლა პანაშვიდის საქმეს მივხედოთ“.

**გაბრიელ ბრუგანი.**

რუსეთ-ლიტვის ხელშეკრულება 1991 წლის სექტემბერ-ოქტომბრი კავშირების შესახებ დაიდო ამა წლის 15 აგვისტოს, რუსეთ საქართველოს ანალოგიური ხელშეკრულება კი 1 სექტემბერს. ასე რომ ვხედავთ „კომუნისტის“ ალტაცების თითქოს ჩვენსა და რსფსრ-ს შორის დადებული ხელშეკრულება პირველი იყოს, ვერ გავიზიარებთ — დაუსწრით.

ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა მოგვეპოვეთ და შეგვედარებინა ეს ხელშეკრულებები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება თითქმის მთლიანად თანხვედრა

რუსეთ-ლიტვის ხელშეკრულებას და მის ოდნავ შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებიდან მუხლები 2, 3, 4, 8, 9, 10-მთლიანად იდენტურია რუსეთ-ლიტვის ხელშეკრულების 2, 3, 4, 9, 10, 11 მუხლებისა. ამიტომ საფიქრალია, რომ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება ასეთი სახით მოამზადა და შემოგვთავაზა რუსეთის მხარემ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით პირდაპირი კონტაქტების გაღრმავებას საბჭოთა კავშირის ყოველ რესპუბლიკასთან, მაგრამ მისი ვიწრო განსხვავებაც, რაც ამ ორ ხელშეკრულებას შორის არსებობს, ბევრი ეჭვისა და ფიქრის საბაზს იძლევა.

მოკლედ შევეხებით მათ: რუსეთ-ლიტვის ხელშეკრულების 1-ლი მუხლი გვეუბნება, რომ მხარეები „...ერთგვრცე წესით, ინარჩუნებენ 1991 წლისთვის ნედლეულს პროდუქციის და საქონლის მიწოდებას 1990 წლის დონეზე“.

(აქ და შემდგომში საზგასმა ყველაგ ჩვენი — დ. ა.)

ასევე მე-6 მუხლის მეორე აბზაცში ლაპარაკია ხელშეკრულებებზე, რომლებიც შეეხება „...უმნიშვნელოვანესი პროდუქციის და სამარეველო დანიშნულების ნედლეულს მიწოდება“-ს.

რუსეთ-საქართველოს შესაბამის მუხლებში კი ნედლეული არსადა ნახსენებია. პირველი მუხლი მხოლოდ ამბობს, რომ „...შეინარჩუნონ 1991 წლისთვის პროდუქციის ურთიგრო მიწოდება არანაკლებ 1990 წლის სავეგმო დონეზე“.

მე-7 მუხლის მეორე აბზაციც ეხება მხოლოდ „უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქტებს ურთიგრო მიწოდების სფეროს“.

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ რუსეთ-საქართველოს ეკონომიური ურთიგრობაში რუსეთის მხრიდან კარბობს ნედლეულის, საქართველოს მხრიდან კი შხა პროდუქციის მიწოდება.

ხელშეკრულებიდან ჩანს, რომ რუსეთი არ კისრულობს თუნდაც 1990 წლის დონეზე შეინარჩუნოს ნედლეულის მიწოდება საქართველოსთვის, რომელიც სახელმწი-

ფო სავეგმო კომიტეტის ერთერთი კომპეტენტური თანამშრომლის მიერ გადმოცემული ინფორმაციით უკვე 30 პროცენტითაა შემცირებული 1989 წელთან შედარებით.

სამაგიეროდ, საქართველო კისრულობს არ შეამციროს შხა პროდუქციის მიწოდება.

საინტერესოა, როგორ უნდა მოხდეს ეს. განა ცხადი არ არის, რომ თუ არ არის გარანტირებული ნედლეულის მიწოდება, შხა პროდუქციის დამზადების და მიწოდების გარანტირება შეუძლებელია.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთი თავისას მინც მიიღებს, მაგრამ, ცხადია, საქართველოს მოსახლეობის ისედაც ცუდი სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუარესების ფასად.

საინტერესოა ორივე ხელშეკრულების მე-6 მუხლებს შედარება, სადაც კონკრეტულადაა ჩამოთვლილი ეკონომიკის და კულტურის ის სფეროები, სადაც მხარეები აპირებენ თანამშრომლობას.

ლიტვისაგან განსხვავებით 1991 წელს საქართველო-არ აპირებს თანამშრომლობის რუსეთთან კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის და საგარეო ეკონომიური კავშირების სფეროში.

და ბოლოს — რაც შეეხება

უმნიშვნელოვანეს სხვაობას ამ ორ ხელშეკრულებას შორის — რუსეთ-ლიტვის ხელშეკრულების მე-12 მუხლი ამბობს, რომ „მხარეები ცნობენ, რომ შხა შორის ურთიგრობა დაეყარება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს, ხოლო ხელშეკრულება რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობებს შორის, აგრეთვე მისგან გამომდინარე უფლებები არ შეიძლება განხილულ იქნეს, რომელიმე მხარის ჩართვად სახელმწიფოთა ნებისმიერ კავშირში ან თანამშრომლობაში“.

რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაში კი ეს მუხლი სერეფად არ არის — ხელშეკრულება მხოლოდ 11 მუხლიანია.

ყოველივე ეს უფლებას გვიძლევს, კვლავ ვთქვათ — საქართველოს კომპარტია, რომელსაც ამქამდე მონოპოლიზირებული აქვს რესპუბლიკის — მართლა, საშო-მავლო გეგმებს ვხალ საშო-კავშირეო ხელშეკრულებას უკავშირებენ.

მონარქულები ვიქმნებოდით, თუ კომპარტია საქაროდ გააბითილებს ჩვენს ეკუპებსა და არგუმენტებს.

**დავით ალალიაშვილი,**  
ხარჩენი ბლოკი „თავისუფლება“ დას-ის წევრი:





გაზეთი. 361. სარედაქციო

საზარეუო გახსნა

სასულიერო სასწავლებელი

მოსდა ისე, რომ საფარში საღამოს რვა საათზე ავედით. რვა საათი ახლა უკვე ღამეა. წყნარი, უქარა ამინდი იყო. თავზე ვარსკვლავიანი ცა დაგვანათობდა, ქვემოთ ახალციხე კაშკაშებდა, ირგვლივ კი შემაერთბელი სიჩუმე იდგა.

მთავარი ტაძრის კარბჭესთან 16-17 წლის ყმაწვილები იდგნენ და ნაგვიანვე სტუმრებს გაკვირვებულნი ვეათვალიერებდნენ. თავაზიანად გვეითხეს, ვინ ვიყავით და სად მივდიოდით. ვისულსწრაფვით და კითხვა შევუბრუნეთ, სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები ხართ? „დიახ“ გვიპასუხეს. „ქალები საღამო არიან?“ „შეიშინებულნი, სასწავლებელნი“, და ხელი გაურკვეველი სიბნელისკენ გააქნიეს, შემდეგ კი სასწავლებლისკენ გაგვიძღვნეს.

სასწავლებლის ეზოში უკვე ანაფორიანი ყმაწვილი კაცი გამოგვეგება. ამითზე ბევრად უფროსი არ ჩანდა. ისეთი სიკეთით მიგვივლო, გზაბნეულ ბავშვებს რომ შეიფარებენ (მოგვიანებით ამ უმურრეულმა სიკეთემ კიდევ გაგვაოცა და მივხვდით, რომ ეს იყო: „ღმერთი არს სიყვარული“! „გიყვარდეს მოყვასი შენი“! იმ საღამოს ეს სიტყვები სახარებისეული სიმართლით ბრწყინდებულნი იყვნენ.)

შემდეგ სასწავლო ოთახში შევედით.

მაგიდებთან თავდახურული ქალები ისხდნენ. მშვიდ სითბოს აფრქვევდა ღვინის ლუმელი, ხმადაბლა ჩართული ქართული საგალობლები და მასწავლებელი ქალი, ვახშენდილი სახითა და კრილონით ხელში.

ისევე გაგვაოცა სიჩუმემ, სიტყვაძნეობამ. საუბარში ვერავინ გამოვიწვიეთ, ერთი შედარებით ასაკოვანი მანდილოსნის გარდა. იგი 55 წლისა მოსულა სასწავლებელში და თან თავისი ძმისშვილიც მოუყვანია. შემდეგ კი მოწაფეებში დაძმაც აღმოვჩინეთ, უნივერსიტეტი-დამთავრებული თანაკურსელებიც და სამი სპორტსმენი ყმაწვილიც.

რამ მოიყვანა ისინი აქ? რწმენამ? ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან განზრდილების სურვილმა თუ მხოლოდ სიხალისეობამ?

როგორც ვეითხრეს, კონკურსის საკმაოდ დიდი იყო. მოწაფეები ტესტობრივი გასაუბრებით შეურჩევიათ. უარი ბევრისთვის უთქვამთ, ორი გოგონა კი გამოსაცდელი ვადით დაუტოვეთ. ჩაურიცხავთ 12 ქალი და ამდენივე ვაჟი.

რეჟიმი მკაცრია. ჩვეულებრივი ცხოვრების კრიტერიუმებით უმკაცრესიც კი, სახლში მხოლოდ წელიწადში ორჯერ გაუშვებენ, არადაღებებზე. შაბათ-კვირას წირვალოცვას უნდა დაესწრონ, უნდა დაიცვან საეკლესიო ცხოვრების წესები, უნდა იმარხოვნენ...

სამარხვო ტრადიციებზე ჩვენც მიგვიწვიეს. ჰამაც რიტუალივით სრულდებოდა. ლოცვითა და ღვთისადმი მადლობით, საეკლესიო თემის სინაკლულით, გასაოცარი ურთიერთთავაზიანობით.

ტრადიციებზე ძია ვაჟაც მოვიდა — საფარის კომპლექსის მცველი. 30 წელია, იქ ცხოვრობს. მამისგან გადაუბარებია ეს საქმე. მამამისაც მთელი სიცოცხლე საფარისათვის შეუღვია და იქ მოღვაწე რუს ბერებსაც მოსწრებია. შემდეგ ვახტანგ ბერიძის მიერ შედგენილ გზამკვლევაში ამოვიკითხე, რომ რუსი ბერები საფარში XIX საუკუნის მიწურულს, მისი თურქებისაგან განთავისუფლების შემდეგ დამკვიდრებულან. შთა, მართალია, მონასტერი განუახლებიათ, მაგრამ მკირე სამლოცველოები საცხოვრებლად და სამეურნეო სადგომებად გამოუყენებიათ, მიძინების ეკლესია კი, რომელიც მეთავე საუკუნით თარიღდება, შეიშინდა ერთიანად შეუღვებიათ... (სხვათა შორის, მიძინების ეკლესიიდან წაღებული მონეტურთხეული კანკელის გადარჩენილი ნივთები ახლა ხელოვნების მუზეუმში ინახება და იმედი ვიქონივთ, რომ ალბათ, ოდესმე

ისიც დაუბრუნდება საფარს, როგორც ჩვენს საერო ცხოვრებაში დღეს ასე მრავლად მიმობნეული საეკლესიო სიწმინდე...)

სასულიერო სასწავლებელში სწავლობენ ბიბლიას, კატეხიზმოს, ლიტურგიას, ძველ ქართულ ენასა და ლიტურატივას, საქართველოს ისტორიას, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიას, მსოფლიო ეკლესიის ისტორიას, გეოგრაფიას. ქალებს დამატებით ასწავლიან ქრა-კრვას, გობელენის ქსოვას, ქარგვას. მომავალ წელს (სწავლა ირწვლიანია) შეისწავლიან ხატწერას, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიას, ბერძნულ ენას. ქალები — ოქრომკერდით ქარგვას.

როგორც ხედავთ, არაფერია ზემდეტი! ასწავლიან საეკლესიო პირნიც და საერონიც (სასწავლებლის რეჰტორია მალალ უსამღვდლოესი მეუფე, საფარის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი სერგი). მასწავლებლები საფარში თბილისიდანაც ჩაიღიან.

ლარიბი ბიბლიოთეკა აქვთ, რადგანაც ჩვეულებრივი სახლმძღვანელოები მათ არც გამოადგებათ (კაცობრიობის წარმოშობას ისინი ჩვენსავეთ მაიმუნის გადაღმიანების პროცესიდან კი არ ითვლიან, არამედ სერათ, რომ ჩვენ ბიბლიური ნიღს შთამომავლები და მითითური თარგამისის შეილები ვართ...), საეკლესიო წიგნების ფონდი კი დღეს სხვადასხვა ბიბლიოთეკებშია განხუცილი და იმედია, რომ ისიც ოდესმე დაუბრუნდება ეკლესიას.

თავისუფალ დროს ქალები ქარგვენ, რეცხავენ, ალაგებენ, საუმელს ამზადებენ. ვაქები საკაცო საქმით არიან დაკავებული. სპორტი მათთვის ახლა საკეთილი შრომაა. განმარტობებული ყოფნა ფიქრსა და თავის თავში ჩაღრმავებას აჩვენებს. ფიქრი კი სიბრძნისაკენ მიმავალი გზა... (უნებლოთ გაგვახსენდა საქართველოს კათოლიკოსის წლეფანდელი საალფაგომო ეპისტოლე. როგორი სინანულით წერდა იგი ჩვენს სკოლებში ღვთისმეტყველების სინაკლულზე, ზნეობრივი ეთიკის, ზნეობრივი კულტურის (როგორც საგნების) და ღრმა აზროვნების სწავლების შემოღების აუცილებლობაზე. ვითომ შეავსებს ამ ხარვეზებს თითო-ორთა სასულიერო სასწავლებელი?)

...მეორე დღით მე და ჩემი კოლეგა ახალციხის ახლადგახსნილი უნივერსიტეტის სტუდენტებსაც შევხვდით, ეროვნული სულით ანთებული გოგონა-ბიჭებს, მაგრამ ისინი, ვინც ზემოთ, საფარში დაგტოვეთ, ისე განსხვავებულნი იყვნენ... მოვიდოდით თბილისისაკენ და ვბჭობდით, რომელია ცხოვრების არსია ქეშპირიტი, რომლები უფრო ჰორდება ახლა ჩვენს ქვეყანას, ეს მშფოთვარე საერონი თუ აქედანვე მარადიული სიმშვიდისაკენ მიდრეკილები? (და განა ვის გაუცია პასუხი ამდგავარ კითხვებზე, ჩვენ რომ ვაგვეცა?)!

საფარში სტუმრადმოყვანიც ვნახეთ. მომქანკველ ყოველდღიურობას გარიღებულთ თავი იქაურობისთვის შეუფარებიათ. ის ორი კვირა თუ ერთი თვე მათთვისაც კარგი განსაწმენდელია. ისინიც ისევე მორჩილად ცხოვრობენ, როგორც აქაური ღვთისმოსავენი, ისევე მკაცრად იცავენ საეკლესიო რეჟიმს. ამდგავარი „მორჩილნი“, მართალია, ქველად ირჩებან, მაგრამ საფარის კომპლექსსა და ახლადგახსნილ სასწავლებელს მაინც ბევრი რამ აკლია (დაწყებული საქარგავი ძაფებითა და კომპიუტერით დამთავრებული და თუ ვინმე ამის წამკითხველი დააპირებს სიქველის გამოჩინას, და რაც მთავარია, თუ ამას ჩუმად, უხმაურად ვააკეთებს, იმედი ჰქონდეს, რომ საფარში მყოფნი მას თავიანთ ლოცვებში მოიხსენიებენ. ხოლო ღმერთი მადლიდან ხელდავს ყველა ჩვენს ნამოქმედარს, კარგსაც და ავსაც და შესაბამისად მოგვიზღავს...)

ვიკლა გოგოშარი

ათმსჯი, გადასცეთ ქართველ ხალხს ფინეთის პელსინის წგუფის სახელით მოკითხვა და საუკეთესო სურვილები.

ყოველ ერს გააჩნია უფლება სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა ჩვენს ღვთის შექმნილ სამყაროში, ერთ ერს ან. სახელმწიფოს არა აქვს უფლება, უკანაზოს თავისი ნება მეორე ერს, დიმიონოს ან თავისი შეიარაღებული ძალებით დაიკავოს მისი ტერიტორია ხალხის ნების საწინააღმდეგოდ.

სრული ეროვნული დამოუკიდებლობის გარეშე ყოველგვარი საუბარი აღმიანის უფლებათა პატივისცემაზე უსარგებლოა და მაცდური — ასეთი შინაარსგაცილი სიტყვები გამოიყენება პროპაგანდისტულ დეკლარაციებში, რომელთაც მიმართავენ ტრალიტარული სახელმწიფოები, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა სსრ კავშირში.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ტირანია უსასრულოდ ვერ ძლებს. აღმსავლეთ გერმანია, პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია განთავისუფლდნენ სოციალისტური დიქტატურის უღლისაგან. იგივე პროცესი ვითარდება სსრკ-ს შიგნით, რომელიც, როგორც ცენტრალურებული იმპერია, უკანასკნელ აგონიაშია. ძალით დაპყრობილი ერები, რომელთაც ჩაგრავს სოციალისტური ტირანია სსრ კავშირში ბალტიის ზღვის ნაპირებიდან წყნარ ოკე-

SUOMEN HELSINKI - RYHMA HELSINGFORS - GRUPPEN I FINLAND THE HELSINKI GROUP OF FINLAND SHR

დაეუა ფინეთიდან

ხვალ არჩევნები. ქართველმა ხალხმა სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს. ვთავაზობთ ფინეთიდან საქართველოს პელსინის კავშირში, ბატონ ზმინად გამსახურდიანს სახელზე მოხული დებეშის ტექსტს:

ანემდე, დღეს ხამალა მოითხოვენ თავისუფლებას. ეს ძახილი იმდენად ძლიერია, რომ კედლებიც კი ირყევა და არავის ძალუძს სმენის დაზომა ამ ძახილის მიმართ. ქართველი ხალხის ძახილიც შეისმინა მთელმა მსოფლიომ ამ დრამატულ დღეებში. მთელი მსოფლიოს ყურადღება თქვენსკენ არის დღეს მოპყრობილი და თქვენ მართონი არა ხართ.

ჩვენ გვწამს, რომ გამოჩენილი ქართველი ერი, რომელიც ვერ კიდევ ძველ აღთქმაში მოიხსენიება, კვლავ მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. ეს არის უფლება ქართველი ერისა და ვერავინ წაპვერის მას ამ უფლებას.

ამჟამად ქართველი ერის დიდი

ნაწილი 1990 წლის 28 ოქტომბერს მიაკითხავს საარჩევნო უბნებს, რათა მიიღოს მონაწილეობა თავისუფალ არჩევნებში და ჩვენ მთელი გულით გვწამს და გვჯერა, რომ თავისუფლებისა და დემოკრატიის ძალები მიაღწევენ მტკიცე გამარჯვებას საქართველოს ისტორიის ამ გადამწყვეტი შემობრუნების დღეს.


უფალმა აკურთხოს ქართველი ერი!

პელსინი, 1990 წ. 24 ოქტომბერი.

ფინეთის პელსინის ჯგუფი პრეზიდენტი ჰეიმო რანტალა, ვიცე-პრეზიდენტი ჰეიკი მსკალინენ.

ეს ტერორია

კურორტ აბასთუმნის ტერიტორიაზე მდებარეობს ორი ეკლესია და ერთი ციხესიმაგრე. აქვე საკმაოდ დიდი ფართობი მიუტაცებია სამხედრო ნაწილს, რომლის მიერაც ხელუფილია ერთი ეკლესია — მცირე ზომის (9,3x13,6 მ.) დარბაზული ნაგებობა. ამ ეკლესიის სპეციალისტები განვითარებულ შუა საუკუნეებში მიაკუთვნებენ. ძეგლთა დაცვის სამმართველოს თანამშრომლებს კი ვერ მოუხერხებიათ მათ მიერ დასაცავ ძეგლში შეღწევა და აღწერა, რამეთუ სამხედროები საწყობად გამოყენებულ ეკლესიას საგულდაგულოდ იცავენ. ამრიგად, ძეგლი შეუსწავლილია და საზოგადოებისათვის (სპეციალისტებისათვისაც კი) უცნობი.



ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ კუთხიდან 3-4 მეტრში შემორჩენილია აღმართული პერიოდის საძეგლს ნანგრევები, ხოლო დასავლეთის მხრიდან რამდენიმე მეტრში სამხედროებს დაუწყიათ ახალი მშენებლობა... ასე ნელ-ნელა იღუპება. საყდრის გარშემო კულტურული ფენები და გარემო, ეტყობა ძეგლს არ ეღირსება არქეოლოგის ხელი, სამუდამოდ იკარგება ჩვენი ისტორიის ნაგლევი, რომელიც მოთხრობა შეემლო იმ კულტურულ ფენებს.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებს იცავს სახელმწიფო და მათი ნელოყოფი კანონით ისეცხებიან. მომქმედი კანონმდებლობის მეხედვით გათვალისწინებულია ისტორიული ძეგლების დაზიანებისათვის სამართლებრივი ზემოქმედების სხვადასხვა ფორმები. კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამარ-

ტლის კოდექსის (1973 წლის გამოცემა) 254-ე მუხლი („ისტორიული ძეგლებს ან დაცული ძეგლების განადგურება, დაზარება ან დაზიანება“) შემდეგი სახითაა წარმოდგენილი (II ნაწილი): „დაზნაშავე ისეცხება სამ წლამდე თვისუფლების აღკვეთით, ერთ წლამდე იძულებითი სამუშაოებით ან 300 მანეთამდე ჯარიმით“. ხოლო საკავშირო და რესპუბლიკური კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ 1978 წლის დადგინების 32-ე მუხლი ითვალისწინებს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონებს, ამ ზონების ფარგლებში აკრძალულია მიწის, სამშენებლო და სხვა სამუშაოების წარმოება, აგრეთვე სამეურნეო საქ-

მიანობა ძეგლთა დაცვის შესაბამისი ორგანოების ნებართვის გარეშე.

რაც ამ სახელმწიფომ და მისმა უფუხქციო კანონებმა საქართველოსა და მის ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას ზიანი მოუტანა, მხოლოდ ღმერთი თუ განსჯის.

დღეს კი ერთი გზა დაგვრჩენია ქართველებს ამ მხრივ, როგორმე ჩვენვე ვიხსნათ ჩვენზე ისტორიული მემკვიდრეობა ამ მასიური ტერორისაგან, როგორმე გადავარჩინოთ ჩვენი ფესვები, ურომლისოდაც მომავალი არ გვიჭერია.


ამ საკითხთან დაკავშირებით, ძეგლთა დაცვის სამმართველომ მიმართა წერილებით (№ 1/614 03.10.90.) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ჭიანჭავაძისადმი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს ბატონ გ. ინასარიძეს (№ 2/613 03.10.90). ბატონი გ. ინასარიძე თურმე არაერთხელ შეუწუხებიათ ძეგლთა დაცვის შესწავლას, მაგრამ უშედეგოდ. ამ წერილების ასლები გაეგზავნათ საქართველოს სსრ პროკურორს, ადიგენის რაიონის პროკურორს თ. გოგალაძეს.

იმედი ვიქონივთ, რომ უახლოეს დროში გაირკვევა ეს საკითხი და შედეგსაც გაცნობებთ.

რამაზ კორშია, ასოციაცია „ხომლის“ წევრი.

მონორარი ვადიარცხოს ასოციაცია „ხომლის“ ანგარიშზე.

(ასოციაცია „ხომლის“ ანგარიში ივანეთბანი — მრეწველმშენანის ნავთარაიციო < სამმართველო 000161700 700007 კოდი 521821).



1. ეკლესია 2. სიხე 3. მცირე სიხე 4. სიხე 5. ფარეხი 6. სიხე-სიხე

ნაიილი რადაქმნას

№ 11 საარჩევნო ბლოკის — „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება“ მიერ დასახელებული ვიყავი საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი № 96 საარჩევნო ოლქში — მარტვილის რაიონში. ამავე

ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ტნობილი მწერალი და ეროვნული მოღვაწე ნოდარ წულეისკირი. ეხსნი ჩემს კანდიდატურას ბატონი ნოდარის სასარგებლოდ.

ფრიდონ კიპალაშვილი



# „ქალღმერთის კედი პარტიაზე გადასვლა“

საქართველოს ერთ-ერთი დამოუკიდებლობის პარტია სსრკ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური ორგანოს განყოფილებაში „Красная звезда“-ს 1990 წლის 18 თებერვლის ნომრის ყურადღების დიდი გაზრდა. პარტიულ გვერდზე, ვაშლისა და ადგილის დაბეჭდვის ინფორმაცია სულ-სულ ერთ-ერთი პოლიტიკური აქტის შესახებ. მაღლობის მეტი რა გვეთქმობა, სიმართლე რომ არ გვეყალბებინათ ვახვთის საკუთარ კორესპონდენტებს, რომელთა გვარ-სახელიც არ ახსენებენ.

წერილის სათაურშივე იგონება ირინია. Вчера передали из Тбилиси-თ (შემდეგ დიდი ასობით წერია. გ. თ.) „Такая вот „Демократия“ არის აქო. ბრჭყალებში ჩასმული სიტყვა დემოკრატიით, წერილის ავტორებს საქართველოში არსებულ განუყოფლობაზე და ქართველების მიერ დემოკრატის არსის გაუცხოვრებლობაზე სურთ მიუთითონ. თითქმის ქართველების მიერ 1918-21 წლებში შექმნილი დემოკრატიული რესპუბლიკა იმეგ საბჭოთა არმიამ არ გათავა სისხლიანი შემოსევით, რომლის ინტერესებსაც იცავენ კორესპონდენტები.

რაც შეეხება განუყოფლობას და ქალის, მისი საქართველოში არსებობის დასამტკიცებლად უცნობ ავტორებს მოჰყავთ თბილისელი ტაქსისტების მიერ რუსთაველის პრისონებზე მოწყობილი საბრტესტო გამოსვლა და გაფიცვა, რომლის მიზეზი ერთ-ერთი ტაქსის მძღოლის გაძევების მიზნით მოკვლა იყო. დიან, მონღა და ნაშაული, რომელიც აღფრთოვან იყვნენ, მაგრამ ჩემში აღფრთოვან იყვნენ ამ პასკვილის მტრებულური აზრით: «Многие повидали за последние два года камни на площади у Дома правительства. Но вот чтобы помимо людей оказались на митинге и автомашины... Выстроены в несколько рядов, они создали плотный тромб на проспекте Руставели».

ესე იგი, რა გამოდის? ამ წერილის ავტორებისათვის უფრო საოცარია მითხრებენ ავტორმაჩანების გამოჩენა, ვიდრე აპრილის დღეებში მშვიდობიანი მომიტინგეების თვებზე, მათი დაშინების მიზნით, სამხედრო ვეტერანების გუგუნი, 9 აპრილის დამსჯი ადამიანების სამხედრო მანქანებით დევნა და გაყვანილობა მკვლელობის რისკისაქვეყნის მიერ ალექსი ბარეებით ქალების უწყალოდ ხოცვა.

ისმის კითხვა, მაინც რა მართვი ამოძრავებდათ სვედამწერარ კორესპონდენტებს, როცა მათი პასკვილის თემა სულ სხვა საკითხს ეხებოდა და ტაქსის მძღოლების ინცინდენტის გადმოცემით დაიწყეს? ალბათ, დიდი მარჩეილობა ამას არ უნდა. ავტორებს სურდათ ყველა ის უარყოფითი მოვლენა, რაც კი საქართველოში ხდება ეროვნულ მოძრაობას დაბრალდეს. თორემ ნათქვამია: (ზრდილობიანად რომ ვთქვათ) საიდან სადა.

საინტერესოა, რას გვიპასუხებენ კორესპონდენტები, საბჭოთა იმპერიის დედაქალაქში მოსკოვში დანაშაულის მსხვერპლად ქცევის შემთხვევაში საიამოს ადამიანები გარეთ რომ ვერ გამოიღონ და დანაშაულის სტატუსითა გვემტრობი, უფრო პროტესტით რომ იზრდები, ამაში ვინ არის დამნაშავე? იქნებ ისევ საქართველოს ეროვნული მოძრაობა და მისი აქტიური წარმომადგენელი ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია?

ახლა უშუალოდ ბრალდებებსაც გვეცნობთ, რომლებსაც უყენებენ 30 ვერცხლად დაქირავებული მკობლები ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიაში.

მათი აზრით, 10 თებერვლის დილით საომრად გამოწყობილ პირთა წვდუმი შეიჭრა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამონადირეო და თევზჭერის საწარმო გაერთიანების შენობაში და ძალით დაიკავე იგი. ამ ბრალდებაში ყველაფერი სიცრუეა. საომრად განწყობილ პირთა წვდუმი არ შეუძლია შენობაში და არ შეიძლება ადგილი არავითარ ძალადობას. შენობის წინ პიკეტი მოწყობა მოთხოვნილი, რომ იგი გადასცემოდა საქართველოს მონადირეთა კავშირს თავისი ნაზი და ქონებით, ის, თუ რამდენად კანონიერია რუსთაველის პრისონებზე და მის მახლობლად ქართველთა სისხლისმღვრელების პარაზი, ყვე-

ლა პარტიონანმა ადამიანმა თავად განსაჯოს, ოღონდ თუკი ვინმე გამოჩნდება სამხედროების მიმართ ზემოთ ნათქვამ მოთხოვნათა დამგობი, მანამ მან ქართველი ახალგაზრდების მიერ საოკუპაციო ჯარში სამსახურზე უარის თქმაც დაგმოს, უარყოს გასული წლის 7 ნოემბრის პოლიტიკური აქციის საკიროება, რომელიც წელსაც არის მოსალოდნელი და საერთოდ ბრძოლაზე უარი განაცხადოს, რადგან ღრმად გეწამს, რომ ამგვარი აქციების გაჩეხე ვერც თავისუფლებისათვის ბრძოლის ატმოსფეროს შექმნით და მითუმეტეს ვერც მიზანს მივაღწევთ.

შემდეგი ბრალდების სახით წარმოჩენილი ცილისწამება ეკუთვნის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (ასო-ს — გ. თ.) პოლიტიკური სამართველოს უფროსის პირველ მთადვილს გენერალ-მაიორ კ. ჩერეპანოვს. იგი რუქას არაკვიფით პუყება: ჩვენთან გამოცხადდა სედას წარმომადგენელი ვ. ბრეგვაძე და ცინიკურად განაცხადა, რომ პარტიის მიზანია სამხედროებმა ქართველების სისხლი დაღვარონო. ეს არის პროვოკაციული განცხადება, რომელიც ფორზეა აღბეჭდილი.

ამხანაგო გენერალო! ჩვენთან საუბარში ვ. ბრეგვაძემ სხვაგვარად გააშუქა ეს ეპიზოდი. თქვენ ვითქვამთ ბატონ ბრეგვაძისათვის, ისე ნუ იზამთ, რომ ქართველების სისხლით მტკიცარი წითლად შვევბოო, რაზეც ვაღიზიანებულმა ქართველმა პარტიებმა ვიპასუხათ, ჩვენ სისხლის დაღვრის არ გვეშინია, მაგას თუ ჩაიდენთ, მაშინ 9 აპრილის მსგავსად თქვენვე იქნებით პოლიტიკურად დამარცხებული. ამხელა ასო-ს დიდი თანამდებობის პირი ბრძანდებით, ამხანაგო გენერალო, და ამ სიტყვების სიმართლეში დასარწმუნებლად საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი არ უნდა გპირდებოდეთ. 9 აპრილმა ბევრს აუხილა თავისი, ბევრს დაახანა რეაქციული იმპერიული ძალების ნამდვილი სახე-მსოფლიოს წინაშე საბჭოთა იმპერიის მსვეფურებო საუკუნის ამ დანაშაულში ერთმანეთს დებდნენ ბრალს. ბოლოს „ანტიპერსტროინი“ ძალებს გადააბრალეს და თავის დაძვრენა ამ სიტყვით სცადეს. კარგად იცით, რომ მეორედ ასეთი ფაქტი და დემოკრატიულ სამყაროსთან დემოკრატიულ თამაში ალარ გამოვივათ, ვის ეკონომიურ დახმარებზეც ჰკიდია იმპერიის ბედი.

ისე, კაცმა რომ თქვას, თქვენგან სიტყუარ უნდა მივიკრიდეს, გენერალო, ვანა თქვენი შეფი, მარშალი იაზოვი უარესს არ კადრულობდა, როცა მოსკოვში მთავრობით უქმყოფელი ხალხის მასიური გამოსვლის შიშით საბრძოლოდ მზადყოფილ ჯარებს აგზავნიდა და ხალხს კი თავლებს უხვევდა, კარტოფილის სათხრელად არიან წამოსულები.

და ბოლოს, ეს უნიათო კორესპონდენტები ბრალს დებენ სელპს შემდეგში:

«В отношении военных учреждений ПНИ пользуется методами, которые больше подходят уголовникам, чем партиям, претендующей исключительно на политические средства борьбы».

ამ ბრალდებაზე პასუხის გაცემა არცაა ღირს. კანონს რომ ძალა ჰქონდეს, საბჭოთა არმიის ხელმძღვანელები საერთაშორისო სამართლის აღმაინის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და გენოციდისათვის საყოველთაო გმობისა და დასჯის ღირსნი არიან. ასე რომ, თუ ვინ არის სისხლის სამართლის დამნაშავე, სსრკ არნია თუ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, რომელიც სამშობლო — საქართველოს თავისუფლებისათვის იბრძვის, ისტორიაა განსჯის.

## პირი თვალაპაპი

P. S. ის, რომ რუხული, მითუმეტეს სამხედროთა ვახუთისათვის პასუხის ვაგზავნა უფრო შრომაა, ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება. ამიტომ ვამტკიცებთ ქართველ მკითხველისათვის გავცვიწყო ჩვენი პოლიტიკა, მითუმეტეს, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ქართველი ერის მხარდაჭერით იბრძვის თავისუფლებისათვის.

პონორარი გადაირიცხება მერამ კოსტაყის სახელობის ფონდში.



ასე მგონია, რომ შემოქმედს ესმის ხოლმე მოახლოებული სიკვდილის ნაბიჯების ხმა, ესმის და... საკუთარ ბედზე წინასწარმეტყველურ სტიტიონებსაც ეს აწერიან.

მიშიკო ერიაშვილი გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მეგობრის დაბადების დღეზე გამოშვებობებია ყველას — მეტს ვეღარა განახავთ. ავი საგზაო ქატრატროფამ იმხვერბლა კიდევ.

„ნაციონალური მიწის დარღვი მოაწვა. ლურჯი იცნება დამარჩა მე ცაში, ხვან, ვინაც უნდა, მიწაზე დარჩეს, მე ავფრინდები მალა ზეცაში“.

ეს სტიტიონები ამ ამბამდე სულ რამდენიმე თვით ადრე დაიწერა. მიშიკო თბილისის 51-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა, მაილი, ძლიერი, წარმოსადეგი ახალგაზრდა ბავშვობიდანვე წყალობურის თამაშობდა („ბურვესტნიის“ გუნდის წევრი იყო) და სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვახლდათ. რო-

# ხსოვნა

## ...მინა ტანჯვების შესახებ

გორც ხშირად ხდება ხოლმე, ამავე დროს მუსიკალური განათლება მიიღო და ინგლისურიც ღრმად შეისწავლა. მაინც პოელოზმა დროს, თავისთავთან მარტო დარჩენილყო.

„დამარჩება მხოლოდ ლურჯი იცნება, ხელშეუხებელი ლურჯი ფრინველი“.

— წერს ერთგან, ლექსებში გამოხელილი ეს ნაოცნებარი ახლან წინადაც გამოსცა გამოშვებობა „მერანამა“. „სახელად დარჩა თბილისელობა“ — ასე ჰქვია მას. როგორც წინის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, „ამ ლექსებში არის სტიტიონები, რომელთა დაწერა მხოლოდ პოეტს შეეძლო.“

პოეტი უნდა გაზრდილიყო და სრულყოფილებიანთვის მიეღწია. ალარ დასცალდა. თვრამეტი წლის ასაკში (1983 წელს) შეწყდა მისი სიცოცხლე.

ახლა მიშიკოს გაცნობა მხოლოდ ამ ლექსების საშუალებით შეიძლება, მათი უმრავლესობა საშობლოს ეძღვნება. შეიძლება გავიკვირდეთ კიდევ, საქართველოზე 8-12 წლის წინათ დაწერილ ლექსებში, როცა სკოლის მოსწავლეები გაბრუნებული ყვავდით „სსრკ დიდი სამშობლოს“ ლოზუნგს; როგორ დღევანდელი თვალთახედვი-

თაა გააზრებული ყოველივე. თუმცა ეს არცაა გასაკვირი. მიშიკო ხომ უნივერსიტეტის სტუდენტებთან მეგობრობდა, რომლებიც ერთად იკრიბებოდნენ და თასს საჭირბოროტო საკითხზე მსჯელობდნენ თურმე.

სხვა ლექსებისაგან ზოგი სიყვარულს ეძღვნება, ზოგიც — სიკვდილი-სიცოცხლის იდუმალებაზე დაფიქრება.

მიშიკოს მხოლოდ ორად-ორი მითხრობა დაუწერია (ერთ-ერთ მათგანს ქვემოთ გთავაზობთ). ჩანს, რომ მწერლობისთვის აუცილებელი თავისებური ხედვის ნიჭიც მომადლებული ჰქონია.

„ალარ დასცალდა ამ ქალაქის ციხის მკველობა, სახელად დარჩა ხიმღერა და თბილისელობა“ — წერს მიშიკო. დარჩა დიდი სიყვარულიცა და სევდაც, მშობლების, დისა და მეგობრების წილსვედრი. დარჩა წიგნში დახატული მისი სულიერი პორტრეტი: მეოცნებე, ფაქიზი სულის, კვიციანი, კეთილი ბიჭი, რომელიც დღეს ჩვენს გვერდით უნდა ყოფილიყო, მაგრამ თითქოს თავისივე ბედისწერის გასამართლებლად „მიწა ტანჯვების შესახებდროაო“ — ერთ-ერთ ლექსში დაგვიტოვა ნუგეშად.

მანია თუხეია

# პაპაპანი

მიყვარს, გადარეული ვარ, გაგიებული. მთელი ორი კვირაა არ მინახავს, დღეს უნდა ვნახო. სად უნდა წავიდეთ? სულერთია, ის ჩემთან იქნება. წავალთ სადმე.

მე უკვე მის გაჩერებასთან ვდგავარ, უფრო სწორად, მისი სახლის ფანჯრების წინ, ქუჩის მეორე მხარეს. სახლი რეასართულიანია, მეოთხე სართული მისა — სანატრიული მეოთხე სართული!

ჩემს გარდა კიდევ ვიღაც კაციც დგას. დაბალია, მსუქანია, ბრტყელუღვაშა. ჩემზე უფროსი იქნება 10-12 წლით, ასე ოცდაათ წლამდე. ნეტავი თუ ყვარები ვინმე? ან იქნებ უყვარს და ისიც ელოდება? თუმცა სასიძოდ დაგვიანებულს ჰგავს.

ნეტავი როდის გამოვა? ან გამოვა კი სახლიდან? მთელი დღე სახლში ხომ არ იჯდება! მეტი რა გზა მაქვს, უნდა ველოდო, რა გაძღვებს ბოლოს ცემამში?

მსუქანაც ბოლოს ურტყამს. ერთმანეთის საპირისპიროდ დავდივართ. მე უფრო ჩქარა, ის უფრო ნელა. შეეხებდათ, მოვარიდებთ ერთმანეთს თვალს და ავიცილ-ჩავიცილთ. ალბათ ისიც მზომავს. მასზედ მალო ნამდვილად ვარ, უღვაშები არა მაქვს, არც მასაით მსუქანია ვარ. ნეტავი რას ეფქრობს ჩემზე? იქნებ არც კი ვაინტერესებ? არ ვაინტერესებ და არც მინდა...

რა ნელა გადის დრო? ნეტავი ფანჯრიდან გამოიხედოს. ფიქრობს კი რამეს ჩემზე? იქნებ არც ვაგონდება. არა, მგონი, ვუყვარვარ, ვასუხობ საკუთარ თავს.

ბრტყელუღვაშას ვიღაც ნაცნობი ხედება. რალაცას ელაპარაკებიან ერთმანეთს; ეტყობა, ამ კაცს ელოდებოდა.

მათ სახლოვეს ვჩერდები. არც ისინი აპირებენ წასვლას.

— რატომ არ ახვალ? — მესმის უცნობის შეკითხვა. — გულში ვიყავი. დღეს მუხუხერხულება — მასუხობს მსუქანმა.

ნეტავი მაგას, გუშინაც უნახავს თავისი სატრფო. მე კი... ეს, არც დღეს შემიძლია მასთან ასვლა. — მალე ჩამოვა? — ეკითხება უცნობი. — ჰო მალე.

— აბა, მე წავეღო — ნახვალის, — პასუხობს ბრტყელუღვაშა. უცნობი წავიდა. დავრჩით ისევ ჩვენ. მე ხეს ვარ მიყუდებული; ის ავტომუხებს მანძილის ზომვას წინ და უკან. ხან იქვე გაჩერებულ „ვოლგას“ ათვალიერებს. ნეტავი ვისაა ეს „ვოლგა“ — ვფიქრობ მე. თუმცა სულერთია, ჩემი რომ არ არის, ეს ხომ ვიცო... არც მინდა...

ნერვიულად ვუყურებ სადარბაზოს კარს. იქნებ არ არის სახლში? შევფურებ ფანჯრებსაც. თითქოს ფარლამ გადამიწა.

— ალბათ ახლა ჩამოვა. ჰო, რა თქმა უნდა, ჩამოვა. დამინახა და გაუხარდა. ჩემდაუნებურად ვცოცხლებ ხეს. ვისწორებ პერანგის საყულოს. უკვე მზად ვარ შესახვედრად.

ბრტყელუღვაშაც ჩემს სახლოვეს მოსულა. მას პერანგის საყულო თავიდანვე შეხებულნი ჰქონდა. მე მგონი, ისიც რალაცას ნერვიულობს.

ნეტავი მაგას რალა აქვს სანერვიულო? მან ხომ გუშინაც ნახა. თანაც ალბათ წლებსაც აქვს მნიშვნელობა. თუმცა, რა ვიცი, რას გთვებ კაცი... ისე, ისიც იმ სადარბაზოსაკენ იყურება მგონი, რომლისკენაც მე, ალბათ ერთ სადარბაზოში ცხოვრობენ.

— ნეტავი, რომელი უფრო მალე გამოვა? ნერვიულად დაყურებ საათს. უკვე საქმოდ დიდი დრო გასულა. — გამოვა? ვნახოთ — ირევა კითხვა-პასუხი თავში...

ისე, ეს სახლები ამ ქუჩაზე კი გვანან ერთმანეთს, მაგრამ მისი სახლი მაინც რალაცით არის განსხვავებული; განსხვავებული კი არა, უფრო თბილიც კია. არა, ეს ქუჩაც რომ უფრო ახლოდელია, ახლოდელი კია, მაგრამ ნეტავი რატომ ჰქვია გადამათვისის სახელი? ნეტავი ვინ იყო? საერთოდ ყოფილა თბილისში ან გაუვლია კი ამ ქუჩაზე? ისე, მისი ბრალ სულაც არ არის, ალბათ არც კი უფიქრია, რომ მის სახელს დაარქმევდნენ. მაშ ვისი ბრალა? რატომ ხდება ასე?...

არ შეიძლება ნეტავი, რომ ქუჩებს ყვავილების სახელები ერქვას. ინძელს ქუჩა, ის ქუჩა, ვარდის ქუჩა, იასამნის ქუჩა... მართლაც რა კარგი იქნებოდა; თანაც იმ ყვავილებს გავანარებდით ყველაგან, რომლის სახელიც მას ერქმებოდა. აი, მაშინ შევეჩიბებოდით ერთმანეთს ჩვენს საყვარელ ქუჩაზე ყვავილების ვახარებში. ეხლა კი რა?.. ეხლა ის, რომ ვინდა, არ ვინდა, უნდა იცხოვრო და იარო ამ ქუჩაზე. ნეტავი, როდემდე?

მსუქანაც ისევ ელოდება. შევამჩნიე რომ ისიც ნერვიულობს; ბრტყელ უღვაშებს იცხენებს. — აი, ჯერ არც მასთან მოვიდნენ. — ვიმშვილებ თავს.

ადგილზე ვეღარ გჩერდები. მისი სადარბაზოდან ორმოცდაათიოდე მეტრზე ტელეფონის ჭიხურია. უნდა დავრეკო.

— დედამისი რომ შემეხედეს? — ჩანდაბას, დავრეკავ. ორკაპიკიანიც არ შექონია. თუმცა აი, ათკაპიკიანი ხომ მაქვს. გავრბივარ დასარეკად. ვრეკავ.

— ფუი, ჩეულაბა, ახლა რა ვქნა? — ისევ ვიქეკები ჯიბეში. არა, არა მაქვს. — იქნებ ბრტყელუღვაშას ვთხოვო? — ჰო, ვთხოვ, აბა რა ვქნა? გამოვიდვიარ ჭიხურიდან, სადარბაზოდან ვიღაც გამოდის.

— ის არის! — იცნო თვალებმა. გულმა ზაგებუვით დაიწყო. მინდა დავუძახო, რომ მე აქა ვარ, მისგან ორმოცდაათ მეტრზე. მივიდვიარ. ის ვერ შეხედავს. ვიღაცას უცინის.

— ნეტავი ვის? მის სახლოვეს „ვოლგა“ ჩერდება. ვიღაც აიღებს მის კარს. ვიღაც კი არა? ეს ხომ ბრტყელუღვაშაა, მსუქანა?!

მანქანაში ჩაუჭადა და წავიდა... გაირიხებულნი გაყურებ... ჩემი ხელები კი ისევ ვიქეკენ. ნეტავ რა? რატომაც ისევ ორკაპიკიანს.

პოლანდიური საფაქრო ფირმა **კოპეუნი ტრეიტინგი**  
 იტალიური საფაქრო ფირმა **კლარინი**  
 იაპონური საფაქრო ფირმა **პაკო კოპი**  
 ფრანგული საფაქრო ფირმა **კოპეუნი**  
 გერმანული ფირმა **სანტორინი**  
 პოლონური ფირმა **პოლანა**

29 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე გიწვევან საქმიან შეხვედრაზე თელავში.  
 შეხვედრის დროს საბარემო-ეკონომიკური ფირმები

**იურსარვისი, ეკონომსარვისი, ინტერკონტაქტი, ინოვისტავა**

წადგინეს ლეგაციას საბარემო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე და გაზიარეს პრაქტიკულ დახმარებებს მოლაპარაკებების წარმოებისას.  
 კომარცვილი ინფორმაციის ბანკი „დელტა“ უზრუნველყოფს თქვენი წინადადებების მსოფლიოს 5000 ფირმისათვის შეტყობინებას.

**თუკი თქვენ გსურთ**

გახსნათ ერთობლივი საწარმო, შეიქმნათ ან გაცვალოთ პროდუქცია, ტექნოლოგიები, მანქანა-დანადგარები, ჩაატაროთ გაცვლითი ოპერაციები, სათავაზო ჩაუდგათ უცხოეთის ფირმების წარმომადგენლებს და საფირმო მალაჩიებს, მოემსახუროთ საბარემო-ეკონომიკურ ოპერაციებს

...მოკლედ, უშუალო პირდაპირი კონტაქტები დაამყაროთ საუფლებო ფირმებთან — ნუ გაუზიარებთ უანს მოხმად შეხვედრა-სემინარზე. შეხვედრა-სემინარში მონაწილეობს ბალტიისპირეთის, შუა აზიის, რუსეთის წამყვანი საწარმოებისა და კოოპერატივების ხელმძღვანელები. ამდენად, საშუალება გეძლევათ გააზიაროთ საწარმოებთან დაამყაროთ საქმიანი კონტაქტები.

სემინარში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა სორბანისა და სხვა 1200 საბჭოთა მანეთის ოდენობით გადაირიცხოს ანბარში № 100461718 სსრკ მრეწველობის ბანკში. საქართველოში მისაღებად. ქ. თბილისი. ამ თანხაში შედის სასტუმროსა და კვების ღირებულებაც. მსგავსი რეგისტრაცია დაიწყება 29 ოქტომბრის თელავის სასტუმრო „ბახთში“. შეხვედრის მონაწილეობა რეგისტრაციის დროს უნდა წარმოადგინონ გადაირიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. თანხის გადაირიცხვის შესახებ დეპოზიტით უნდა ეცნობოს ორგანიზაციის თბილისის ბიუროს: 380008. თბილისი. სააგონენტო ყუთი 105.

სემინარში მონაწილე უცხოური ფირმების სია დაუზუსტდება ქართულ მონაწილეთა წინადადებების გათვალისწინებით. გთხოვთ წინადადებებითა და ცნობებისათვის მოგვმართოთ ტელეფონზე: 98-31-89 (საგზაო საათგანი), 99-56-65 (არასაგზაო საათგანი) შეგიძლიათ გვიწვიოთ პირადად: რუსთაველის 23. პირველი სართული. სამეცნიერო ცენტრი „აია“. ამავე მისამართზე შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია მონაწილეთა შესახებ. ფირმა „არგო“.

**ასოციაცია „ალტრინების“ ფირმა „კამერტონი“**

30 ოქტომბერს გიწვევთ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში

**საინჟინერო სადამოჯი 25 წელი რკ-სხანაზე ბარი ქიტიაშვილი**

მონაწილეობენ: კაკო ვაშალომიძე, თამარიკო დავითაშვილი, გორის უნიანი, თემურ წიკლაური, შოთა დავითაშვილი, მანანა თოდაძე, ვლადიმერ მოგელაძე, გია კვაჭაძე, თემურ ურთილაშვილი, ამირან იოგაშვილი, ვლადიმერ კოზიკიძე, მერაბ სეფაშვილი, ზურაბ კოგაშვილი, ნუზარ ერგოშვილი, ჯგუფები: „მორიტორი“, „ოქანა“, „ბლუზ მობილი“.

კომენტარი ეგვიპტი მხარდარის.

პროგრამა მიჰყავს ნუზარ კვაშალს და დარბაზს გულიაშვილს.

დასაწყისი 20 საათზე.

ორგანიზაციებიდან განცხადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: ბუღაპურის ქ. № 1, „ალტრინების“ ფირმა „კამერტონი“.

**ვიზების ხატარგმნად**

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერაციულ ფირმა „ზევს“, რომელიც მიგიღებთ უოველდღე დახვეწების დღეების ჩათვლით 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვიწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი № 8.

**კურსდამთავრებულებს — სპერტა უორისო კატეგორიის მონაწილეები**

პირველად საქართველოში ტარდება საბჭოთა კავშირ-კანადა-ამერიკის ერთობლივი ფირმა MC-ს პროფესიონალ ექსტრანესთა შესწავლელი კურსები, იმ პირთათვის ვისაც გააჩნიათ შესაბამისი მონაცემები და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

კურსებს წარუძღვებიან საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის წამყვანი სპეციალისტები. კურსების წარმატებით დამთავრების შემდეგ მსმენელებს მიეცემათ II-I და საერთაშორისო კატეგორიის მოწმობები. ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების საფუძველზე.

ის პირები, რომლებიც დააკმაყოფილებენ კომისიის პირობებს, კონტრაქტის თანახმად უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ფირმის სამედიცინო საქმიანობაში შემდეგ ქვეყნებში: ჩეხეთი, ისრაელი, კანადა, ამერიკა. კურსების ჩატარების ვადა

ამა წლის 7 ნოემბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით.

ცნობებისათვის დარეკეთ: 39-63-03; 39-50-73; 39-17-09. სწავლების თანხა გადაიხდება საბჭოთა ფულით.

**უკრადლეა!**

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელი“ და საბელევიზიო პროგრამა „ილუზიონი“ რეკლამები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე: 87-58-75; მისამართი: ბუღაპურის ქ. № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე). ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო

**საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გაზეთი**  
 Обществено - политическа политическа вестник „Ахалгазрда Иверელი“

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხსმეცხველი მდევანი — 98-21-56; წერალების განყოფილება — 99-90-29.

გაზეთი გამოდის კვირასე საგზაო სააგენტო, სააგენტო, რედაქციის შემოღება მისაღები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

საქართველოს კ. ც. -ის ხატვა 380096, თბილისი-24, შ. კობახიძის ქ. № 14, აბეგდება ოცდებუნი წებით საგზაო კარბუნი, სოსარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400

რედაქტორის მოადგილე გიგლა გოგაძე

რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380096. შ. კობახიძის ქ. № 14.